საქართველოს ოლქების, ოლქების, ოლქების საბჭოებისა ანგარიშგება
ს

შესავალი

- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2023 წელს შრომატევადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განახორციელა, საერთო სასამართლოების სისტემის გეოგრაფიულად განსხვავებულ სხვადასხვა ლოკაციაზე;

- ინტენსიური სამუშაოები განხორციელდა საერთო სასამართლოებში სერვისის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიმართულებით;

- მნიშვნელოვანი სამუშაოები გატარდა სასამართლოს შენობების შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებზე ადაპტირების მიზნით, რისთვისაც 2023 წელს კიდევ დამატებით რამდენიმე სასამართლოს შენობაში შეიქმნა შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო;

- ჩატარდა სასამართლოების შენობებისა და ეზოების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, განახლდა გარე განათების სისტემები, განხორციელდა სასამართლო სხდომის დარბაზების, მოსამართლეებისა და აპარატის თანამშრომელთა სამუშაო ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- გაიმართა წყლის მომარაგება-მიწოდების სისტემები, მოეწყო სადრენაჟე წყალგადამყვანი სისტემები და სხვა;

- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, რამდენიმე სასამართლოს შენობისთვის სარეზერვო ელ. კვების წყაროების-გენერატორების სიმძლავრეების ოპტიმიზაციის სამუშაოები განახორციელა. აღნიშნული სამუშაოების განხორციელება გრძელდება მიმდინარე წელსაც;

- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ასევე დაიწყო სასამართლოს შენობების საბადრაგო სივრცეში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში და დერეფანში ხელოვნური ვენტილაციის სისტემის გამართვის სამუშაოები და სხვა.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, 2023 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს პორტალის განახლება-რეაბილიტაციის, არსებული ფასადის განათების, მიმართულების მანიშნებელი შიდა და გარე აბრების მოწყობის საპროექტო და შემდგომ სარემონტო სამუშაოები განხორციელდა (თბილისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელში დამონტაჟებული აბრა დაზიანებული იყო, შესაბამისად საჭიროებდა არსებულის დემონტაჟს და ახალი აბრის მონტაჟს).

❖ პროექტის მომზადების ეტაპზე განხორციელდა პორტალის მდგომარეობის შესწავლა, დაიგეგმა მისი განახლება.

ვინაიდან, პორტალის რეაბილიტაცია უნდა განხორციელებულიყო სივრცეში, სადაც მუდმივად მოძრაობს სასამართლოს პერსონალი/ვიზიტორი და გამოირჩევა ხალხმრავლობით, პროექტში გათვალისწინებული იყო, საპროექტო პორტალის რეაბილიტაციისას სასამართლოს პერსონალ/ვიზიტორთა უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვა, რათა პორტალის განახლების სამუშაოთა მიმდინარეობისას, რაიმე სახით საფრთხე არ შექმნოდა ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

- ახლადმოწყობილი პორტალის განათება, შესაბამისობაშია შენობის არსებული განათების (სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობა) სპექტრთან და ნათებასთან;

- სასამართლოს შიდა ტერიტორიაზე, ცენტრალური შესასვლელის მარჯვენა მხარეს, გაზონზე დამონტაჟდა ახალი აბრა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ლოგოს და ატრიბუტიკის გათვალისწინებით.

- პროექტის მიხედვით რეაბილიტირდა პორტიკზე ანუ საყრდენ სვეტების კაპიტელების თავზე დაყრდნობილი, არსებული ანტაბლემენტის (კარნიზის ლავაგარდანი) ფორმა და მასზე მოეწყო ორნამენტული მოტივი "დენტიკულა" . იდეა მდგომარეობდა მასში, რომ კოლონების კაპიტელებს უნდა გაემეორებინა ფასადზე უკვე გამოყენებული კოლონების კაპიტელების ფორმა.

- ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული იყო როგორც ფასადის, ასევე შიდა ეზოში არსებული განათების სრული აღდგენა, შედეგად მოიხსნა არსებული დაზიანებული და მოეწყო ახალი პროჟექტორები;
- პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა, საქალაქო სასამართლოს შენობის შიდა ეზოში განლაგებული ლამპიონების რესტავრაცია;
- სასამართლოს მანიშნებელი გარე აბრა მოეწყო ლითონის კონსტრუქციაზე. ლითონის ბოძი (დამიწებით) დამუშავდა ანტიკოროზიული და ცეცხლმედეგი საღებავით.
- წარწერა "თბილისის საქალაქო სასამართლო" და ლოგო წარმოადგენს ე.წ "ლაითბოქს".

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, უკანა ეზოს კეთილმოწყობისთვის და ასევე მთელ ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის განახლებისთვის საპროექტო და შემდგომ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშოები განახორციელა.

- პროექტით გათვალისწინებული იყო, როგორც სადემონტაჟო, ასევე სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება წინა, უკანა ეზოში და ასევე ქუჩის მხარეს ტერიტორიაზე;

- პროექტირების ეტაპზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

- საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის გავლის შემდგომ, კანონის შესაბამისად ჩატარდა სატენდერო პროცედურები, რომლის შემდგომაც ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

- განხორციელდა მაგისტრალური ელ.სადენების დასამონტაჟებლად ტრანშეების გაჭრა;
- სასამართლოს შენობის უკანა ტერიტორიაზე მოეწყო გზის საფუძველი, დაიგო ახალი, ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი;
- სასამართლოს შენობის უკანა ნაწილის და ქუჩის მხარეს პერიმეტრზე მოეწყო სარინელი ასფალტო-ბეტონის საფარით, რითაც მოხდა შენობის დაცვა საძირკველში წყლის ჩადინებისგან;
- ეზოში არსებულ ჭებზე განხორციელდა ანჯამიანი თუჯის ხუფების მოწყობა.

- მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა;
- მოეწყო ანაკრები რკინა-ბეტონის სამკუთხა სანიაღვრე ღარი;
- ეზოში განთავსდა პერგოლა.

- პროექტით გათვალისწინებული იყო ელ.სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინა და უკანა ეზოს მთელ პერიმეტრზე;
- გარე განათების ელექტროტექნიკური ნაწილი შესრულდა სამშენებლო-ტექნოლოგიური ნახაზების საფუძველზე;
- შეიცვალა შემოსავლელი ჭიშკარი, სადაც მოეწყო ე.წ სიახლოვის სენსორები და ელექტრო საკეტი.

- გეგმის თანახმად, განხორციელდა ქსელის ელ. მომარაგების შემყვანი არსებული ელ. სადენის დემონტაჟი, რომელიც მიწის ზევით ფასადს მიუყვებოდა. მის ნაცვლად მოეწყო ახალი კაბელი, რომელიც გატარდა ორშრიან გოფრირებულ მილში და შემდგომ ჩაიდო ტრანშეაში მოქმედი ნორმების დაცვით;
- მოქალაქეებისთვის მოეწყო სასმელი წყლის შადრევანი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

- 2023 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დაიგეგმა ადაპტირებული სველი წერტილის და ამწე პლატფორმის მოწყობა, რომელიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სასამართლოში ადაპტირებული გარემოს შექმნას;
- საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად სიმაღლის დამძლევი ამწის (ტელფერის) მოწყობით, შესაძლებელი იქნება სასამართლოს ეზოსა და შენობას შორის არსებული სიმაღლის დონის დაძლევა, რომელიც შეადგენს 5,8 მეტრს.

- პროექტით დადგენილია ორი პლატფორმის მონტაჟი: პირველი, რომელიც მიყვება კიბეს და მეორე ვერტიკალური პლატფორმის. პირველი პლატფორმა მოახდენს 4,28 მ სიმაღლის დაძლევას და შშმ პირს აიყვანს პირველ ბაქანზე, ხოლო მეორე ამწე დაძლევს 1,52 მ სიმაღლეს და შშმ პირს შესაძლებლობა ექნება შენობაში შესვლის.

- შენობის შიდა ტერიტორიაზე რეაბილიტაცია უნდა გაუკეთდეს და შესაბამისი სტანდა-რტებით მოეწყოს სველი წერტილები შშმ პირთათვის, რისთვისაც ასევე საჭიროა მინუს პირველ სართულზე ჩასავლელად მოეწყოს ვერტიკალური ამწე;
- სასამართლოს შენობაში, სართულზე დამოუ-კიდებლად გადასაადგილებლად -3,36 მეტრზე, ეტლით მოსარგებლე პირი შეძლებს სველი წერტილით სარგებლობას.
- პროექტით განსაზღვრული პირობების თანახმად, პლატფორმის კვების ბლოკი უნდა აკმაყოფილებდეს ''IP 68-8 სტანდარტს, ელექტროენერგიის უსაფრთხო მიწოდების შესახებ". კვების ბლოკი დამონტაჟდება ნებისმიერი სადგურიდან არა უმეტეს 4 მეტრის მანძილში. ძრავა აღჭურვილი იქნება ელექტრომექანიკური მუხრუჭით და ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი მექანიკური მართვა.

- ❖ ტელფერის ტექნიკური მონაცემების თანახმად, ამწე შესაბამისობაში იქნება ISO სტანდარტებსა და ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან: European Directive 2006/95/EEC “Low Voltage”European Directive 2004/108/EEC “ElectromagneticCompatibility”European Directive 2006/42/EEC “Machinery Directive”.
- ❖ პლატფორმა არის გარე მუშაობისათვის განკუთვნილი და გარემო კლიმატური პირობები მის ფინქციონირებაზე გავლენას არ ახდენს.

- ❖ პლატფორმის მაქსიმალური დატვირთვა იქნება 225 კგ. აღჭურვილი იქნება პანდუსის ავტომატური გაშლა-დაკეცვის ფუნქციით;
- ❖ პლატფორმის მართვა შესაძლებელი იქნება მართვის პულტის საშუალებით შშმ პირის მიერ. გაჩერებებზე მოეწყობა მოხმარების ინსტრუქცია.

- ❖ პლატფორმას აქვს ორი გაჩერების ფუნქცია და ასევე სწრაფი გათიშვის ღილაკი;
- ❖ პლატფორმის ორივე გაჩერების ადგილზე მოეწყობა სამართავი პულტები;
- ❖ პროექტის განხორციელების შემდეგ შშმ პირი შეძლებს დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ სასამართლოს ტერიტორიაზე გადაადგილებას.

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა;

- არსებული მდგომარეობის გათვალიწინებით, დეპარტამენტმა მოამზადა პროექტი, რომლის თანახმად, სასამართლოს შენობაში მასშტაბური რეაბილიტაცია დაიგეგმა;
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებდა, როგორც შენობის გარე პერიმეტრზე, ისე ინტერიერში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

❖ სასამართლოს შენობა მდებარეობს ცენტრალური გზის პირას, რის გამოც შენობის ზედაპირი ადვილად იმტვერება და ნესტიანდება. არსებული მდგომარეობის გათვალიწინებით, ფასადის და ღობის ზედაპირები დამუშავდა სოკოს საწინააღმდეგო ხსნარებით, გაიწმინდა, აღდგა დაზიანებული ადგილები იგივე ვიზუალის ფაქტურით და შემდგომ შეიღება მაღალი ხარისხის თვითრეცხვადი, ელასტომერული საღებავით.

❖ შეიცვალა ცენტრალური კარი, რომელიც ადაპტირდა შშმ პირთა სარგებლობისთვის;

❖ შენობისთვის წყლის არიდების მიზნით დაემატა სანიაღვრე არხები.

❖ პროექტის ფარგლებში განახლდა სასამართლოს შენობის პორტალი, მოეწყო განათებული სიმბოლიკები-გერბი და წარწერები.

❖ დეპარტამენტის მიერ მომზადებულმა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციამ ასევე გაითვალისწინა საბადრაგო სივრცეში ახალი ხელოვნური ვენტილაციის სისტემის მოწყობა.

❖ სასამართლოს შენობის საბადრაგო სივრცეში, კერძოდ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში და დერეფანში ხელოვნური ვენტილაციის სისტემის გაუმართაობის გამო, დანესტიანებული იყო კედლები და ჭერი.

❖ პროექტის მომზადებისას განისაზღვრა საკნებში და საბადრაგოს ნაწილში მოცემული ჰაერის (მ3/სთ) მოდინება-გაწოვის რაოდენობა, რომელიც მიღებულ იქნა საპროექტო ფართის საჭირო ჰაერცვლისა და სივრცეში მყოფი ადამიანების რაოდენობის დათვლის საფუძველზე;

❖ ხელოვნური ვენტილაციის მიმართულებით, დეპარტამენტის მიერ მომზადებულმა პროექტმა, გაითვალისწინა ყველაზე ოპტიმალური გზა ჰაერის ასაღებად და გასაწოვად, სუფთა ჰაერის დამუშავებისთვის, გასათბობად მოდინებით ხაზის მოსაწყობად.

- საბადრაგო სივრცეში პროექტმა ასევე გაითვალისწინა ჰაერსატარების მოწყობა, შეფუთვა.
- დამონტაჟდა ხმაურდამხშობები, გამწოვი ვენტილატორები;
- გარემონტებული საბადრაგო სივრცე აღიჭურვა ანტივანდალური სანათებით;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში მოეწყო სკამები;.
- მიმდინარეობს სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი.



❖ პროექტის მიხედვით შენობაში სრულად განახლდა ელექტრო გაყვანილობის სისტემა, მოძველებული ალუმინის ელ. სადენები შეიცვალა სპილენძის მრავალჟილიანი შესაბამისი კვეთის სადენებით;

- სასამართლოს სამივე სართულზე გარემონტდა ყველა სამუშაო ოთახი და სხდომათა დარბაზები;
- სამივე სართულზე დერეფნებში, ფოიეში, სხდომათა დარბაზებში და სამუშაო ოთახებში მოეწყო მაღალი ხარისხის, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი პერფორირებული, ნესტგამძლე არმსტრონგის ჭერი.

გორის რაიონული სასამართლო

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით გორის რაიონული სასამართლოს შენობის ფასადის და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

- პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასამართლოს შენობის წინა ფასადს, ცენტრალური შესასვლელის ბაზალტის კიბეებსა და ცენტრალურ შესასვლელ ჭიშკარს;

- სასამართლოს შენობის წინა ეზო მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.



- ❖ პროექტის ფარგლებში სამღებრო სამუშაოები ჩატარდა თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ოთახებში, კიბის უჯრედსა და ფოიეში;

- ❖ ყველა დარბაზში შეიცვალა გამყოფი ბარიერის დეტალები;
- ❖ სველ წერტილში მოეწყო ახალი, ნესტგამძლე არმსტრონგის ჭერი თავისი სანათებით.

❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მცხეთის რაიონულ სასამართლოს შენობაში.

❖ პროექტის ფარგლებში სრულად შეიცვალა შენობის კოროზირებული გადახურვა, საიდანაც შენობაში ნალექიანი ამინდის დროს ჩამოდიოდა წყალი და აზიანებდა შიდა ინფრასტრუქტურას.

- პროექტის ფარგლებში გარემონტდა წინა და უკანა ფასადი (პირველი სართულის დონეზე და პორტალი).
- სასამართლოს ორ სხდომათა დარბაზში ჩატარდა სამღებრო სამუშაოები-გაიკრა ე.წ. ფრიზელინი და შეიღება.

საჩხერის რაიონული სასამართლო

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით საჩხერის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

- სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებდა როგორც შენობის გარე პერიმეტრზე, ისე ინტერიერში სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას;
- პროექტის ფარგლებში განახლდა სასამართლოს შენობის პორტალი, მოეწყო განათებული სიმბოლიკები-გერბი და წარწერები.

- სასამართლოს ორივე სართულზე გარემონტდა ყველა სამუშაო ოთახი და სხდომათა დარბაზები;
- პროექტის მიხედვით სამუშაო ოთახებში და სხდომათა დარბაზებში მოიხვეწა პარკეტის იატაკი, რომელიც შემდგომ დაიფარა მაღალი ხარისხის სამი ფენა ლაქით;

- სარემონტო სამუშაოების შედეგად რეაბილიტირდა კიბის უჯრედები, სადაც განათებისთვის დაემატა სანათები;
- რეაბილიტირდა საბადრაგო სივრცე და საკანი;
- გარემონტებული საბადრაგო სივრცე აღიჭურვა ანტივანდალური სანათებით.

❖ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა სასამართლოს ორივე სართულის დერეფნები და ფოიე, სადაც ასევე მოეწყო მაღალი ხარისხის, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამი პერფორირებული არმსტრონგის ჭერი.

❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით შუახევის მაგისტრატ სასამართლოში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

❖ საპროექტო წინადადებით პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო სასამართლოს შენობის თანამედროვე სამშენებლო რეგულაციების მოთხოვნებთან და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სასამართლოს შენობის ინტერიერში სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც გულისხმობდა სასამართლოს შენობის გადაგეგმარებას, რეაბილიტაციას, ახალი, დამოუკიდებელი სამუშაო სივრცის გაჩენას.

- სასამართლოს შენობის შემომსაზღვრელი ღობე აუცილებლად საჭიროებდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას;
- დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში შენობის მთელს პერიმეტრზე რეაბილიტირდა გარე შემომსაზღვრელი ღობე და ჭიშკარი.

- ღობის თავი გადაიხურა თუნუქის ფურცლებით;
- წყლის და საწვავი ავზებისთვის მოეწყო მსუბუქი კონსტრუქციით გადახურვა, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე შეიფუთა ავზები, მოეწყო სახანძრო კიბე.

- პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასამართლოს შენობის შიდა ფართების სრული რეაბილიტაცია. სრულად განახლდა ელექტრო გაყვანილობის სისტემა, მოძველებული ალუმინის ელ. სადენები შეიცვალა სპილენძის მრავალჟილიანი შესაბამისი კვეთის სადენებით. მთელს სასამართლო შენობაში განახლდა ინტერნეტ ქსელი.

- გარემონტდა ყველა სამუშაო ოთახი და სხდომათა დარბაზი, ფოიე, დერეფნები, საბადრაგო ბლოკი;
- რეაბილიტირდა სხდომათა დარბაზი, საბადრაგო სივრცე, საქვაბე.

შუახევის მაგისტრატი სასამართლო

❖ რაც შეეხება მეორე ეტაპზე დაგეგმილ სამუშაოებს, შუახევის მაგისტრატ სასამართლოში შენობის შესასვლელში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო პანდუსი შშმ პირთათვის ალუმინის მოაჯირით;

❖ პროექტის ფარგლებში შეიცვალა ცენტრალური კარი, რომელიც უკვე აკმაყოფილებს შშმ პირთათვის შესაბამის სტანდარტებს;

❖ მომზადებული პროექტის მიხედვით სრულად რეაბილიტირდა შენობის ფასადი და პორტალი;

❖ შეიცვალა პორტალის გადახურვა და წყალგადამყვანი სისტემა;

❖ ფასადზე მოეწყო განახლებული სიმბოლიკები-გერბი და წარწერები.

❖ ასევე განხორციელდა შენობის ირგვლივ სარინელის მოწყობა, რითაც აღმოიფხვრა შენობის საძირკველში წყლის ჩადინება.

❖ ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოს 2017 წლის სექტემბერში შემოუერთდა დამატებით მიწის ფართი, რომელიც საჭიროებდა კეთილმოწყობას. ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო მოწყობილიყო წყალგადამყვანი სისტემა.

❖ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა მიმდინარე წელს დაგეგმა და სატენდერო პირობების დაცვით დაიწყო ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოსთვის მომატებული ფართის კეთილმოწყობა.

- პროექტის ფარგლებში ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს შენობის ახლად მომატებულ ტერიტორიის ფართის წინა ნაწილზე, განხორციელდა შემომსაზღვრელი ღობის მოწყობა, დაიგო არმირებული ბეტონი;
- მოეწყო სანიაღვრე არხები ლითონის თავსახურით, რომელიც დამუშავდა ანტიკოროზიული საღებავით. ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებით აღიკვეთა, გარეშე პირთა კუთვნილი ავტომობილების უნებართვოდ სასამართლოს ტერიტორაზე შემოყვანა.

- მომატებული ფართის კეთილმოწყობით სასამართლოში მიმსვლელი მოქალაქეებისთვის, შესაძლებელი გახდა ნალექიან ამინდშიც უსაფრთხოდ და კომფორტულად მისვლა სასამართლოს შენობამდე.

ფოთის საქალაქო სასამართლო

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დაკვეთით ფოთის საქალაქო სასამართლოში გარე ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

- ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის ნოემბრის თვეში შემოუერთდა დამატებით მიწის ფართი, რომელიც საჭიროებდა კეთილმოწყობას;

- აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფართზე საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განახორციელა სარეზერვო ელ. კვების წყაროს-გენერატორის მონტაჟი რკინა-ბეტონის სადგამ ფილაზე;

- ტერიტორიაზე წყლის დადგომის გამო გართულებული იყო გენერატორისთვის შესაბამისი მომსახურეობის გაწევა.

- მომატებულ ფართში სამშენებლო წესების და ნორმების დაცვით მოეწყო ბეტონის ფილით გზა;
- ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო მოწყობილიყო სადრენაჟე სისტემა;
- თუნუქის ახალი ფურცლებით შეიფუთა წყლის ავზი;

❖ ხობის მაგისტრატ სასამართლოში საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად დაგეგმა.



❖ პირველ ეტაპზე პროექტი ითვალისწინებდა როგორც შენობის გარე პერიმეტრზე, ისე ინტერიერში სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

❖ პირველ სართულზე რეაბილიტირდა სამუშაო ოთახები, ფოიე, სხდომათა დარბაზი, დერეფანი, კიბის უჯრედი.

- განხორციელდა პორტალის რეკონსტრუქცია, რომლის მიმდინარეობის დროს სრულად იყო დაცული უსაფრთხოების ზომები, რათა პორტალის განახლების სამუშაოთა მიმდინარეობისას, რაიმე სახით საფრთხე არ შექმნოდა ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

- პროექტის ფარგლებში სხდომათა დარბაზში მოეწყო მაღალი ხარისხის პერფორირებული არმსტრონგის ჭერი თავისი სანათებით.

- შეიცვალა ცენტრალური კარი, რომელიც ადაპტირდა შშმ პირთა სარგებლობისთვის;
- განახლდა ელ.ქსელი;
- მეორე ეტაპზე დაგეგმილია მეორე სართულის და სახურავის რეაბილიტაცია.

ხაშურის რაიონული სასამართლო

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ხაშურის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად დაგეგმა.

- პირველ ეტაპზე სასამართლოს შენობის საძირკველში წყლის არიდების მიზნით მოეწყო სარინელი;
- შენობის ეზოს უკანა ნაწილში ნალექიანი ამინდის დროს, ხდებოდა წყლის დაგროვება, რის გამოც შენობის ცოკოლი ზიანდებოდა;
- შენობის დაცვისთვის ცოკოლზე მოეწყო ყინვაგამძლე ფილები. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებით აღმოიფხვრა შენობის საძირკველში წყლის ჩადინება და ცოკოლის დაზიანება.

- საპროექტო წინადადებით პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო, შენობის გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ სასამართლოს შენობის შემომსაზღვრელი ღობე აუცილებლად საჭიროებდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. შესაბამისად შენობის მთელს პერიმეტრზე რეაბილიტირდა გარე შემომსაზღვრელი ღობე და ჭიშკარი.

- ღობის კედლებზე აღდგა დაზიანებული ადგილები, გამაგრდა/მოჩარჩოვდა ე.წ არმატურის ბადით და შემდგომ შეიღება მაღალი ხარისხის თვითრეცხვადი, ელასტომერული საღებავით;
- ღობის თავი გადაიხურა თუნუქის ფურცლებით.

საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლო

- მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 27.12.2019წ. N1/366 გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა სამედიაციო სივრცეების მოწყობა დაიწყო;
- სასამართლო სისტემისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოში განახორციელა სამედიაციო სივრცის მოწყობა;
- რეაბილიტირებული ოთახები აღიჭურვა შესაბამისი ავეჯით და კომპიუტერული ქსელით.

დღეის მდგომარეობით სამედიაციო სივრცეები მოწყობილია 20 სასამართლოში:

1. თბილისის საქალაქო სასამართლო;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლო;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
4. ქუთაისის საქალაქო სასამართლო;
5. ფოთის საქალაქო სასამართლო;
6. რუსთავის საქალაქო სასამართლო;
7. ბათუმის საქალაქო სასამართლო (სხვა ფართში);
8. გურჯაანის რაიონული სასამართლო;
9. მცხეთის რაიონული სასამართლო;
10. ამბროლაურის რაიონული სასამართლო;
11. გორის რაიონული სასამართლო;
12. ბოლნისის რაიონული სასამართლო;
13. თელავის რაიონული სასამართლო;
14. ახალციხის რაიონული სასამართლო;
15. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო;
16. ჭიათურის მაგისტრატი სასამართლო;
17. თერჯოლის მაგისტრატი სასამართლო;
18. დედოფლისწაროს მაგისტრატი სასამართლო;
19. საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლო;
20. ქარელის მაგისტრატი სასამართლო.

ახალქალაქის რაიონული სასამართლო

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2019 წელს განხორციელებული სატენდერო პროცედურების შედეგად (NAT190014742), მომზადდა ქ. ახალქალაქში, რაიონული სასამართლოს მისამართზე: მდებარე მაშტოცის ქუჩა N110, არსებულ 2 სართულიანი შენობის სრული რეაბილიტაციის (მათ შორის ეზოს) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ასევე არსებულ შენობაზე განსახორციელებელი ახალი მიშენებული ფართის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

- თუმცა პროექტის მომზადების შემდგომ, 2023 წლის მაისში სასამართლოს მიემატა დამატებითი ფართი პირველ სართულზე მდებარე 159 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 668 კვ.მ, რის გამოც საჭიროება დაკარგა შენობაზე ახალი ფლიგელის მიშენების განხორციელებამ. აღნიშნულიდან გამომდინარე დეპარტამენტმა დაგეგმა არსებული პროექტის გადაკეთება. შესაბამისად მიმდინარეობს არსებული ორსართულიანი შენობის და ახლად გადმოცემული ფართის რეაბილიტაცია ეზოს კეთილმოწყობის ჩათვლით.

- არსებული შენობის შიდა სარემონტო სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას ახლად გადმოცემული ფართების სრული რეაბილიტაცია, მათ შორის ფასადის, სახურავის და ეზოს კეთილმოწყობა, ეზოს და ფასადის გარე განათება, ღობის რეაბილიტაცია, შესაბამისი სტანდარტის პანდუსის (საჭიროების შემთხვევაში ამწის ან/და ლიფტის) მოწყობა.

- პროექტის თანახმად უნდა განხორციელდეს არსებული საქვაბის სიმძლავრეების გაზრდა და სათავსო ოთახების სრული რეაბილიტაცია;
- დაიგეგმება შენობის სველი წერტილების ცხელი წყლით მომარაგების ღონისძიებები, სარეზერვო კვების-გენერატორის მონტაჟი, საჭიროების შემთხვევაში დამცავი ნაგებობით.

- პროექტი ითვალისწინებს გათბობა-გაგრილება, ვენტილაციის სისტემის მოწყობას;
- სასამართლოს შენობაში მოეწყობა სახანძრო სამისამართო უსაფრთხოების სისტემა;
- სახანძრო წყალგაყვანილობის მონტაჟისას მილგაყვანილობის ქსელი უნდა აიწყოს ე.წ ვიქტავლიკური ფიტინგის გამოყენებით (შედუღების გარეშე).
- განისაზღვრება თუ რამდენი ევაკუაციის გეგმა, ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი და ავარიული განათებებია საჭირო სასამართლოს შენობაში;
- განისაზღვრება ევაკუაციის გეგმის მომზადება-მონტაჟი;
- განახლდება შენობა-ნაგებობების შიდა ელ. და კომპიუტერული ქსელების გეგმები;
- საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდგომ დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ახალქალაქის რაიონული სასამართლო სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირთა სარგებლობისთვის.

საერთო სასამართლოების შენობებისთვის სარეზერვო ელექტრო კვების წყაროების-გენერატორების მოწყობა

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2022 წელს რამდენიმე სასამართლოს შენობისთვის სარეზერვო ელ. კვების წყაროების-გენერატორების სიმძლავრეების ოპტიმიზაციის სამუშაოები განახორციელა.

- 2023-2024 წლებში საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა გააგრძელა აღნიშნული მიმართულებით სხვა სასამართლოების შენობებში საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება, რადგან სასამართლოების შენობებში არსებული გენერატორები მოძველებული ან/და ამორტიზირებულია და სასამართლოს პერსონალის რაოდენობის და შესაბამისად, ელ.ტექნიკის, ელ.ენერგიის მოხმარების ზრდის გამო, არსებული გენერატორების სიმძლავრეები საკმარისი აღარ არის.

- არსებული საბიუჯეტო დაფინანსებების ფარგლებში, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დაიწყო ახალი გენერატორების მონტაჟის პროცედურები, ხოლო სასამართლოში არსებული მეორადი ვარგისი გენერატორები გადატანილ იქნა იმ სასამართლოების შენობებში, რომელთა სიმძლავრეებიც საკმარისი იყო სასამართლოების სარეზერვო ელ.მომარაგებისთვის.

- საპროექტო შესწავლით დადგინდა, თუ რომელ სასამართლოს შენობას როგორი სიმძლავრის გენერატორი ესაჭიროებოდა, აკმაყოფილებდა თუ არა არსებული მოქმედი გენერატორი ობიექტის სარეზერვო ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო მოთხოვნებს და საჭირო იყო თუ არა მისი შეცვლა უფრო მძლავრი დიზელ გენერატორით.

საერთო სასამართლოების შენობებისთვის სარეზერვო ელექტრო კვების წყაროების-გენერატორების მოწყობა

- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა 18 სასამართლოს შენობაში არსებული მდგომარეობა ობიექტის სარეზერვო ელექტრო მომარაგებასთან დაკავშირებით.
- 2023 წელს ახალი გენერატორები შესყიდულ და დამონტაჟებული იქნა ქუთაისის საქალაქო, რუსთავის საქალაქო, თეთრიწყაროს რაიონულ და მარნეულის მაგისტრატ სასამართლოებში.
- დეპარტამენტის მომზადებული პროექტის მიხედვით მიმდინარე წელს ახალი გენერატორების შესყიდვა და დამონტაჟება განხორციელდება სიღნაღის, სენაკის, ზესტაფონის რაიონული და მესტიის მაგისტრატ სასამართლოებში.
- 2023 ფოთის საქალაქო, ახალციხის რაიონული, ტყიბულის, ჭიათურის, ქობულეთის და ხობის მაგისტრატ სასამართლოებში განხორციელდა მეორადი, თუმცა სიმძლავრით შესაბამისი დიზელ გენერატორების მოწყობის როგორც საპროექტო, ასევე სამშენებლო სამუშაოები.
- ამჟამად მიმდინარეობს ხაშურის რაიონულ, აბაშის და მარტვილის მაგისტრატ სასამართლოებში მეორადი, თუმცა სიმძლავრით შესაბამისი დიზელ გენერატორების მოწყობის სამშენებლო სამუშაოები.

- აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შემდგომ, თვრამეტივე სასამართლოს შენობაში მოგვარდება სარეზერვო ელ.მომარაგების მიწოდების პრობლემები.
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტი კვლავ აგრძელებს აღნიშნული მიმართულებით სხვა სასამართლოების შენობებში საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას.
- პროექტით ასევე განისაზღვრა სასამართლოების შენობების აღჭურვა ტექნიკურად გამართული სარეზერვო ელექტრო მიწოდების სისტემით. განისაზღვრა დიზელ გენერატორისათვის რკინაბეტონის სადგამის პარამეტრები, დაპროექტდა შენობის ელ.კვების გენერატორზე დაერთების და ავტომატური გადამრთველის სქემა.

ხელოვნური ვენტილაციის სისტემის მოწყობა

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დაიწყო სასამართლოს შენობის საბადრაგო სივრცეში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში და დერეფანში ხელოვნური ვენტილაციის სისტემის გამართვის სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდგომ ქუთაისის, ფოთის საქალაქო, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ახალციხის, ზესტაფონის, ხაშურის, სენაკის რაიონული და მარნეულის მაგისტრატი სასამართლოების შენობების საბადრაგო სივრცეში ახალი ვენტილაციის სისტემები მოეწყობა;

- პროექტი გაითვალისწინებს შესაბამისი დანადგარების განლაგების სქემატურ და აქსეონომეტრიულ ნახაზებს, მილების კვეთის გაანგარიშებას, საპროექტო ფართში ჰაერის შემოდინებისა და გაწოვის სავენტილაციო ხაზებს, საკნებში და საბადრაგოს ნაწილში მოცემული ჰაერის (მ3/სთ) მოდინება-გაწოვის რაოდენობას, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული ფართის საჭირო ჰაერცვლისა და ადამიანების რაოდენობის გათვლის საფუძველზე, ჰაერის მიწოდებისა და გაწოვის აგრეგატების, მოდინებითი და გამწოვი ვენტილატორების სპეფიციკაციებს.

ხელოვნური ვენტილაციის სისტემის მოწყობა

❖ საპროექტო წინადადებამ უნდა გაითვალისწინოს, მოძებნოს ყველაზე ოპტიმალური გზა ჰაერის ასაღებად და გასაწოვად, სუფთა ჰაერის დამუშავებისთვის (გასათბობად) მოდინებით ხაზის მოსაწყობად;

❖ პროექტი გაითვალისწინებს ხმაურდამხშობის, ჰაერსატარების მოწყობა/შეფუთვას. საპროექტო ორგანიზაცია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სასამართლოში ჩაატარებს საკვლევაძიებო სამუშაოებს და მხოლოდ შემდგომ შედგება შესაბასამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

❖ საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდგომ დაიწყება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რითაც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში და დერეფანში ხელოვნური ვენტილაციის სისტემები გამართულად იმუშავებს.

- 2023 წელს სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის'' მიერ საერთო სასამართლოებისთვის შეძენილ იქნა 7 ერთეული მეოთხე კლასის, 5 ერთეული მესამე კლასის და 34 ერთეული მეორე კლასის ავტომობილი.
- ახალი მანქანების შესყიდვის პროცესის პარალელურად, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს გადაეცა სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის" კუთვნილი 35 ერთეული ძველი და ამორტიზირებული ავტომობილი (გამოშვების წელი 2009-2012 წწ).

- 2023 წლის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ანაზღაურებულია დაახლოებით 78,800 ლარი.
- 2023 წელს დაზღვეული ავტომობილების რაოდენობამ 157 ერთეული შეადგინა, ხოლო მათი ჯამური სადაზღვევო პრემია 81,000 ლარზე მეტი თანხით განისაზღვრა.

სახელმწიფო შესყიდვები

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საანგარიშო პერიოდში 30,850,000 ლარი შეადგინა. აქედან საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში - 30,725,000 ლარი, ხოლო, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში - 125,000 ლარი.

2023 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაიდო 272 ხელშეკრულება, ხოლო საკუთარი შემოსავლების ფარგლებში - 75 ხელშეკრულება.

- საერთო სასამართლოების არქივში ინახება დაახლოებით სამ მილიონზე მეტი საქმე, აღნიშნულ საქმეთა რაოდენობა არის ცვალებადი, ვინაიდან ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სასამართლოების მიერ საქმეთა გათხოვა, საქმეთა პირველადი შემოსვლა არქივში შესანახად და სამივლინებო საქმიანობის ფარგლებში წარმოებს სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა მიღება-ჩაბარება და მათი განთავსება სასამართლოებისათვის გამოყოფილ შესაბამის ფონდებში;

- დღეის მდგომარეობით საანგარიშო პერიოდში სამივლინებო საქმიანობის შედეგად თბილისში მდებარე არქივში შესანახად მიღებულია 16 რაიონული/საქალაქო და მაგისტრატი სასამართლოების მიერ დასრულებული როგორც ძირითადი, ასევე სხვადასხვა კატეგორიის საქმეები ქვემოთ ჩამოთვლილი რაოდენობის შესაბამისად:

- ადიგენის 2016-2019წწ. 2 212 საქმე,
- ასპინძის 2016-2019წწ. 880 საქმე,
- ახალქალაქის 2017-2019წწ. 2 165 საქმე,
- ახალციხის 2018-2019წწ. 5 572 საქმე,
- ბორჯომი 2016-2019წწ. 5 395 საქმე,
- გარდაბანის 2017-2019წწ. 5 900 საქმე,
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 34148 საქმე,
- თელავის სხვადასხვა კატეგორიის 2018-2019წწ. 2092 საქმე,
- ლენტეხის როგორც ძირითადი, ასევე სხვადასხვა კატეგორიის 2014-2019წწ. 993 საქმე,
- ნინოწმინდის 2017-2019წწ.- 361 საქმე,
- რუსთავის სხვადასხვა კატეგორიის 2017-2019წწ. 994 საქმე,
- სიღნაღის როგორც ძირითადი ასევე სხვადასხვა კატეგორიის 2017-2019წწ. 4 537 საქმე,
- სოხუმისა და გაგრა გულრიფშის 2020-2022წწ. 735 საქმე,
- ქარელის 2000-2012წწ. 2497 საქმე,
- ცაგერის 2013-2020წწ. 2 239 საქმე,
- ხაშური 1999-2019წწ. 23 067 საქმე.

- **წლის განმავლობაში არქივში დამატებით შემოსულია სხვადასხვა რაიონების, სხვადასხვა წლებისა და სხვადასხვა კატეგორიის 1694 საქმე;**
- **სულ ქ.თბილისში მდებარე არქივში სამივლინებო საქმიანობის შედეგად შემოტანილ და შესაბამის ფონდებში განთავსდა 93.790 საქმე;**

საერთო სასამართლოების არქივი

- ❖ ქობულეთში, ქუთაისსა და ხობში მდებარე არქივში სამივლინებო საქმიანობის შედეგად შემოტანილ და შესაბამის ფონდებში განთავსდა ბათუმის საქალაქო და ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს 12.113 საქმე, ქუთაისის საქალაქო, საჩხერის რაიონული ტყიბულის მაგისტრატი სასამართლოების 13.762 საქმე, ფოთის საქალაქო, ხობისა და აბაშის მაგისტრატი სასამართლოს 8.662 როგორც ძირითადი, ასევე სხვადასხვა კატეგორიის საქმეები;
- ❖ სამივლინებო საქმიანობის ფარგლებში რეგიონებში არსებულ საცავებში სულ მიღებულია - 34.537 საქმე;
- ❖ **სულ სამივლინებო საქმიანობის შედეგად შემოტანილ და შესაბამის ფონდებში განთავსდა როგორც თბილისში,ასევე რეგიონებში- 128.327 საქმე.**
- ❖ **საერთო ჯამში წლის განმავლობაში არქივში შესანახად შემოსულია 130.018 საქმე;**

- ❖ იმის გათვალისწინებით, რომ ქობულეთსა და ქუთაისში განთავსებულ საცავებში არ არის თავისუფალი ფართი, ხობში მდებარე არქივში განთავსებულია ქობულეთსა და ქუთაისში მდებარე არქივსაცავების სამივლინებო საქმიანობის შედეგად შესანახად მიღებული საქმეები;
- ❖ 2016 წლიდან დაწყებული საინვენტარიზაციო საქმიანობის ფარგლებშო 2023 წლის განმავლობაში აღწერილ იქნა და შესაბამის ფონდში განლაგდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005-2007 წწ სამოქალაქო სამართლის **1092,** აღნიშნულ საქმეთა ელექტრონული საძიებო ცხრილები განთავსდა არქივის შიდა ერთიან საძიებო სისტემაში.
- ❖ არქივი ყოველდღიურად იღებს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი სასამართლოებიდან შემოსულ საქმეებს, ასევე განცხადებებს და მოთხოვნებს (თბილისი-**15.535** ქობულეთში, ხობსა და ქუთაისში შესაბამისად **869, 2038, 693; სულ 19.135**), შესაბამის კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებების და ორგანიზაციების, ასევე სხვა იურიდიულ პირთა წარმომადგენლებს და გასცემს შესაბამის დოკუმენტაციას.

საერთო სასამართლოების არქივი

- საანგარიშო პერიოდში სსიპ საერთო სასამართლოების დეპატამენტში ჩატარებულ იქნა მუდმივ-მოქმედი საექსპერტო კომისიის 2 სხდომა:

- **პირველი სხდომა**-2023 წლის 17 ივლისის #1 სხდომის ოქმით მოწონებულ იქნა სსიპ საერთო სასა-მართლოების დეპარტამენტის მიერ ნაწარმოები საარქივო შესანახად გადაცემული 1997-2018 წლების მუდმივად, ხანგრძლივად და დროებით შესანახ საქმეთა 5 ანაწერი, 1 აქტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებულ იქნა დეპარტამენტის საქმიანობის შედეგად ნაწარმოები 5109 საქმე.

- ასევე თბილისში მდებარე არქივში დაცული 15 რაიონის, 36 აქტი (**ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, თბილისის საქალაქო, თბილისის სააპელაციო, თეთრიწყაროს, მარნეულის, ნინოწმინდის, ონის, რუსთავის რაიონული** და მაგისტრატი სასამართლოების შენახვის ვადაგასული **88.955** საქმე, ქუთაისში მდებარე არქივში დაცული 5 რაიონის 10 აქტი (**სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ქუთაისის საქალაქო და ჭიათურის მაგისტრატი** სასა-მართლოების შენახვის ვადაგასული **9045** საქმე, ხობში მდებარე არქივში დაცული 6 რაიონის 14 (**აბაშის, მარტვილის, სენაკის, ფოთის, წალენჯიხის, ხობის მაგისტრატი** და რაიონული სასამართლოების შენახვის ვადაგასული 12019 **საქმე,** ქობულეთში მდებარე არქივში დაცული 9 რაიონის 22 აქტი (**ბათუმის საქალაქო, ლან-ჩხუთის, ოზურგეთის, ქედას, ქობულეთის, შუახევის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის და ხულოს მაგისტრატი** და რაიონული სასა-მართლოების შენახვის ვადაგასული **29822** საქმე.

- პირველი კომისიით მოწონებულ იქნა და დადგენილი წესით დამუშავებული და **განადგურებულია 35 რაიონის** ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან, საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული **145.310 საქმე, წონით - 54.74 ტონა.**

საერთო სასამართლოების არქივი

- დეპარტამენტის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის 2023 წლის 22 დეკემბრის **II სხდომა**-ოქმით მოწონებულ იქნა ახმეტის რაიონის სასამართლოს 1986-1997 წლების სამოქალაქო სამართლის 42 მუდმივად შესანახი საქმე, თბილისში მდებარე არქივში 15 რაიონის 33 აქტი **(ახმეტის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, გორის, თბილისის საქალაქო, თელავის, ლენტეხის, მცხეთის, რუსთავის, სიღნაღის, ქარელის, ცაგერის, და ხაშურის რაიონული და მაგისტრატი სასამართლოების 44.723 საქმე;** ქუთაისში მდებარე არქივში დაცული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2 აქტი **5664 საქმე;**
- მეორე კომისიით მოწონებულ იქნა და დადგენილი წესით დამუშავებული და **განადგურებულია 16 რაიონის** ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან, საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული **50.387 საქმე- წონით 6.96 ტონა;**
- **სულ- ორივე კომისიის შედეგად-195.697 საქმე. 118 აქტი, 61.7ტონა.**

- **სულ- ორივე კომისიის შედეგად დამუშავებულ და განადგურებულ იქნა ზემოაღნიშნული აქტებით გამოყოფილი 195.697 საქმე-წონით 61.7ტონა, რომლებსაც, გაუვიდათ შენახვის ვადები, დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა და აღარ ექვემდე-ბარებიან შემდგომ შენახვას.**

- ინტენსიურად მიმდინარეობს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიისთვის წარსადგენად თბილისში მდებარე არქივში დაცული 17 რაიონის, ქობულეთში მდებარე არქივში დაცული 4 რაიონის, ქუთაისში დაცული 4 რაიონის, ხობში დაცული 1 რაიონის, სულ **26 რაიონის** საქალაქო, რაიონული და მაგისტრატრატი სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა დასამუშავებლად და გასანადგურებლად გამოსაყოფი საქმეების 51 აქტის პროექტზე მუშაობა დაახლოებით 45.312 საქმეზე.

საერთო სასამართლოებისთვის 2023 წელს შეძენილი სხვადასხვა ტექნიკა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურებების ჩამონათვალი

ყოველწლიური სერვისები, როგორებიცაა:

- ინტერნეტ მომსახურება,
- სატელეფონო მომსახურება (ციფრული+ანალოგური)
- სატელევიზიო მომსახურება
- საერთო სასამართლოებში არსებული Avigilon inc მწარმოებლის მიერ წარმოებული ვიდეო უსაფრთხოების სისტემის სერვისი;

- ოპტიკური არხის და ოპტიკური წვერის იჯარა;
- თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობებში არსებული რენტგენოსკანერის აპარატების სერვისი;

- სასერვერო ინფრასტრუქტურის სახანძრო და გაგრილების სისტემის სერვისი;

- სისტემა კოდექსის ინფორმაციული განახლების სერვისი;
- საერთო სასამართლოებში არსებული პრინტერებისთვის და მაღალი წარმადობის კოპიერებისთვის კარტრიჯების და დრამების აღდგენის სერვისი;
- საერთო სასამართლოებში არსებული კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების აღდგენის სერვისი;
- თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის ბეჭდვითი მომსახურების სერვისი.

- DELL EMC Isilon (PowerScale) დისკური მასივისთვის დამატებითი ნოდების შესყიდვა;
- 4 ცალი მაღალი წარმადობის სკანერის შესყიდვა

5 ცალი მაღალი წარმადობის პრინტერის (კოპიერის) შესყიდვა

- სერვერული ინფრასტრუქტურის მოწყობილობების ერთწლიანი მწარმოებლის მხარდაჭერისა და საგარანტიო სერვისის შესყიდვა (LENOVO FlexSystem)
- დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის უზრუნველყოფის მომსახურების (საერთაშორისო სტატიკური აი-პი მისამართების მიღების RIPE NCC) შესყიდვა
- IP ტელეფონის აპარატების შესყიდვა

- ჰიპერ-კონვეგენტური ინფრასტრუქტურის აპარატურულ-პროგრამული კომპლექსის გაფართოება (აფგრეიდი, თანმდევი მონტაჟით);
- სასერვერო ინფრასტრუქტურისთვის არსებული უწყვეტი კვების წყაროებისთვის 300 ცალი აკუმულატორის შესყიდვა (თანმდევი მონტაჟით)

- საერთო სასამართლოებში არსებული ვებ გვერდებისთვის დომენების და SSL სერთიფიკატის შესყიდვა;
- საერთო სასამართლოებისთვის ანტივირუსული პროგრამის შეძენა

- საერთო სასამართლოებისთვის აუდიო მიქმერების, აუდიო მარაგების და სხვა აქსესუარების შესყიდვა

- კომპიუტერული ნაწილების და სხვადასხვა მწარმოებლის მიერ წარმოებული პრინტერებისთვის კარტრიჯების შესყიდვა;
- ქსელური მარშუტიზატორების შესყიდვა საერთო სასამართლოებისთვის Checkpoint ფაერვოლის კლასტერისთვის მწარმოებლის გარანტიის, სერვისის და მხარდაჭერის შესყიდვა;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში არსებული რიგის მართვის სისტემის მოწესრიგება და ტექნიკური სერვისის შესყიდვა.

- სენაკის რაიონული სასამართლოს შენობის ვიდეო უსაფრთხოების სისტემით აღჭურვა (პროექტის მომზადება და შესყიდვა)

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2023 წელს საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 114 465 000 ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგი სახით:

						თანხა ლარებში
კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2023 წლის დამტკიცებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	განხორციელებული ცვლილებები	2023 წლის დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	საკასო ხარჯი 01.01.2024 წლის მდგომარეობით	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114 465 000	0	114 465 000	98 397 952	86.0%
	ხარჯები	94 785 000	700 000	95 485 000	93 932 417	98.4%
	შრომის ანაზღაურება	71 100 000	-85 000	71 015 000	70 636 078	99.5%
	საქონელი და მომსახურება	21 601 000	722 000	22 323 000	21 261 992	95.2%
	სოციალური უზრუნველყოფა	1 220 000	13 000	1 233 000	1 155 679	93.7%
	სხვა ხარჯები	864 000	50 000	914 000	878 668	96.1%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	19 680 000	-700 000	18 980 000	4 465 535	23.5%



სარჩევი

1. შესავალი 3

2. თბილისის საქალაქო სასამართლო 4

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლო 7

4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო 12

5. გორის რაიონული სასამართლო 18

6. მცხეთის რაიონული სასამართლო 20

7. საჩხერის რაიონული სასამართლო 22

8. შუახევის მაგისტრატი სასამართლო 26

9. ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო 30

10. ფოთის საქალაქო სასამართლო 32

11. ხობის მაგისტრატი სასამართლო 34

12. ხაშურის რაიონული სასამართლო 36

13. საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლო 38

14. ახალქალაქის რაიონული სასამართლო 39

15. სარეზერვო ელ.კვების წყაროების-გენერატორების მოწყობა საერთო სასამართლოების შენობებში 41

16. ხელოვნური ვენტილაციის სისტემის მოწყობა 43

17. საერთო სასამართლოების ავტოპარკი 45

18. სახელმწიფო შესყიდვები 45

19. საერთო სასამართლოების არქივი 46

20. საერთო სასამართლოებისთვის 2023 წელს შეძენილი სხვადასხვა ტექნიკა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურებების ჩამონათვალი 50

21. ასიგნებების გადანაწილების ცხრილი 53